საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს ,,ეკო ოილი"-ს საქმოანობაზე, 2019 წლის 16 აპრილის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-332 ბრძანების საფუძველზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოში წლის განმავლობაში იგეგმება 4125 ტ ინდუსტრიული ზეთის გადამუშავება.

საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით, მივმართეთ ქ. რუსთავის მერიას. ქ. რუსთავის მერიის ინფორმაციით, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს არა 470 მეტრში, როგორც გათვალისწინებული იყო გზშ-ს ანგარიშში, არამედ 200 მეტრში. შენობის მისამართია დავით გარეჯის ქუჩის N30ა. შენობა წარმოადგენს ქ. რუსთავის მერიის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, სადაც მერიის მიერ შესახლებულია რამდენიმე ოჯახი.

აღნიშნული ახალად გამოვლენილი გარემოებიდან გამომდინარე, მომზადებული გვაქვს სკრინინგის ანგარიში, სადაც მოცემულია უახლოესი საცხოვრებელ სახლთან საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასება.

წარმოგიდგენთ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- შპს „ეკო ოილი"-ს ქ. რუსთავში დაგეგმილი მეორადი ზეთის გადამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე;
- დაგეგმილი საქმიანიბის განხორციელების ადგილის გეგრაფიული კოორდინატები Shape ფაილების სახით.

პატივისცემით,

ილგარ გულიევი

შპს ,,ეკო ოილი"-ს დირექტორი

ECO OIL
GEORGIA. "ECO OIL" LLC
406246566
საქართველო. შპს "ეკო ოილი"

577 260550

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5369
30 03 2020